



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #030/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიორგი ჩიკვილაძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების შეთანხმება. კლიენტმა ადვოკატს გადაუხადა შესაბამისი საზღაური, თუმცა კლიენტის განმარტებით, ადვოკატმა არ წარადგინა სასამართლოში ის მტკიცებულებები, რაც აუცილებელი იყო სწორი კვალიფიკაციის მიღებისათვის. კლიენტი როგორც პირველ, ასევე სააპელაციო ინსტანციებში გამტყუნდა. კლიენტის მითითებით, ადვოკატთან დადებული შეთანხმება გულისხმობდა საქმის მოგების გარანტიასა და მის მთელ ოჯახზე იურიდიული მხარდაჭერის გაწევასაც, თუმცა ადვოკატმა არც ეს ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და სამოქალაქო დავაზე არ გამოცხადდა არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციებში, რასაც ასევე მოყვა საჩივრის ავტორისთვის არასასრუველი შედეგი. ასევე, კლიენტმა ადვოკატს, წარმომადგენლობის განმავლობაში, სესხის სახით გადასცა 2000 ლარი, რომელიც ადვოკატს მისთვის არ დაუბრუნებია. ადვოკატის განმარტებით, მან შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები იმ ფარგლებში, რისი ობიექტური შესაძლებლობაც არსებობდა. მას კლიენტისთვის საქმის მოგების არანაირი გარანტია არ მიუცია, კლიენტთან ურთიერთობა მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილების შემდეგ დაიძაბა, სამართალწარმოება კი მოწმეთა რიცხოვნობის გამო ჭიანურდებოდა, რაც ნამდვილად არ იყო მისი ბრალი. კლიენტის საქმეზე არასასრუველი გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა ადვოკატის მხრიდან მისი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, რასაც კლიენტები აბრალებენ მას. ადვოკატის განმარტებით, საქმის შედეგით უკმაყოფილობის გამო მოსთხოვეს მას კლიენტებმა მიღებული ჰონორარის უკან დაბრუნება. ასევე, მხარეებს შორის შეთანხმება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე და არავითარი მოლაპარაკება ყოფილა სხვა სახის დავაზე. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ მართალია 2000 ლარი თავდაპირველად სესხის სახით გამართვა კლიენტს, თუმცა კლიენტმა შემდგომში აჩუქა მას ეს თანხა და უთხრა, რომ აღარ დაებრუნებინა. ადვოკატი კლიენტს შეუთანხმდა, რომ კონკრეტული დროის მანძილზე იქნებოდა კლიენტის ოჯახის ადვოკატიც, რა საქმესაც ასევე ჯეროვნად ასრულებდა, ამიტომ არ არსებობს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების არანაირი საფუძველი.

პროცესუალური ისტორია

კლიენტმა საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას თავისი ადვოკატის მიმართ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე აპეკ-ის 8.8 და 8.15 მუხლების დარღვევის საფუძველზე.

სამართლებრივი შეფასება

კოლეგიამ თავისი მოტივაცია განავითარა სამი მიმართულებით, 1) 5000 ლარის, როგორც ჰონორარის განსაზღვრება, 2) აღნიშნული ჰონორარის შესაბამისი ვალდებულების არაჯეროვანი

¹ <https://gba.ge/pdf/5e6107138a558.pdf/030.18%2014.05.2019%20gaftxileba.pdf>

შესრულება, 3) ადვოკატის მიერ კლიენტისგან დამატებით 2000 ლარის მიღება, რაც მიიჩნევა, როგორც სესხის ხელშეკრულება: 1) ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ ადვოკატმა უნდა განსაზღვროს და კონკრეტულად გაწეროს ის ხარჯები, რაც მისი ვალდებულების შესრულებისთვისაა აუცილებელი და სწორედ ამ თანხის ოდენობის მიხედვით განსაზღვროს ჰონორარის ღირებულებაც. არსებული შეთანხმება ზუსტად არ მოიცავდა განმარტებას იმისა, თუ რომელ საქმეებზე და რა ფარგლებში უნდა ეწარმოებინა ადვოკატს კლიენტების ინტერესების დაცვა. კლიენტებისათვის გაუგებარი იყო თუ რას მოიცავდა საადვოკატო მომსახურება, რისთვისაც მათ გადასცეს ადვოკატს ჰონორარი 5000 ლარის ოდენობით. 2) საქმეში არსებული ფაქტებით დგინდება, რომ კლიენტმა ადვოკატს გადასცა საადვოკატო მომსახურების ფასი, თუმცა, იმის გამო, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე შეწყდა ურთიერთობა, ადვოკატს არ დაუბრუნებია ჰონორარის სწორედ ის ნაწილი, რომელიც არაჯეროვანი შესრულებისთვის უსაფუძვლოდ მიითვისა. ამავდროულად, ადვოკატს ეკისრება, დაამტკიცოს, რომ მის მიერ მიღებული ჰონორარის ოდენობა სრულად შეესაბამება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რაც მან ვერ დაადასტურა, რადგან მიმდინარე საქმისწარმოებებიდან მოხდა მისი, როგორც ადვოკატის ჩამოცილება, რაც აშკარად მეტყველებს ხელშეკრულების შეწყვეტაზე. კოლეგიის მითითებით, თუ კი ადვოკატი არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, ვალდებულია დააბრუნოს ჰონორარის ის შესაბამისი ოდენობა, რისი ვალდებულებაც მას არ შეუსრულებია. მოცემულ შემთხვევაში კი ადვოკატი ამგვარად არ მოქცეულა. 3) განხილვის კოლეგია განსაკუთრებულად აქცენტირებს ადვოკატის მიერ კლიენტისაგან სესხის/ჩუქების სახით 2000 ლარის მიღებაზე და განმარტავს, რომ ამით საფრთხე ექმნება ადვოკატის დამოუკიდებლობას. მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა, სესხის ხელშეკრულებასთან გვაქვს ადგილი თუ ჩუქების ხელშეკრულებასთან, არ წარმოადგენს ეთიკის კომისიის განხილვის საგანს. მოცემულ შემთხვევაში, ორივე მხარე აღიარებს, რომ ეს თანხა 2000 ლარი არ წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს და არ უკავშირდებოდა კლიენტის საქმის წარმოებას - არ იყო მიწოდებული თანხა, რომელიც კლიენტმა გადასცა ადვოკატს. ორივე მხარე თანხმდება, რომ ეს თანხა, წარმომადგენლობის პროცესში, ცალკე, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან (სესხის ხელშეკრულებიდან, ჩუქებიდან) გამომდინარე გადასცა კლიენტმა ადვოკატს. ამასთან, ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მას 2000 ლარი კლიენტისთვის აქვს დასაბრუნებელი. შესაბამისად, სახეზეა ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმომადგენლობის პროცესში სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რაც საფრთხეს უქმნის ადვოკატის დამოუკიდებლობას. კოლეგიის შეფასებით, ვინაიდან 5000 ლარის ფარგლებში შეთანხმებულ მომსახურებაზე ადვოკატმა კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე დაასრულა კლიენტის მომსახურება და შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გათვალისწინებით, კლიენტს არ დაუბრუნა მისგან მიღებული ფულადი სახსრების ნაწილი, ადვოკატის მიერ დაირღვა აპკ-ის 8.15 მუხლი. ასევე, ვინაიდან დადასტურდა, რომ ადვოკატმა წარმომადგენლობის პროცესში ისესხა თანხა კლიენტისაგან და არ დააბრუნა, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატის მიერ საქმის დამოუკიდებლად წარმოების ეთიკური ვალდებულება.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1, აპკ-ის 2.1, 8.8 და 8.15 მუხლების დარღვევა. ადვოკატს დისციპლინური სახდელის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.